

## ანგარიში

### 2017 წლის საანგარიშო პერიოდში მერიის(ყოფილი გამგეობის) მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

წინამდებარე ანგარიში მოიცავს ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის(ყოფილი გამგეობის) ცალკეული სამსახურების მიერ 2017 წლის საანგარიშო პერიოდში გაწეულ მუშაობას. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილია 9 სამსახური, რომლებიც უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებას, მათზე დაკისრებული ფუნქციები აერთიანებს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებითა და პროგრამებით გათვალისწინებულ მიმართულებებს, რომლის პრაქტიკულ ხორცშესხმას ასრულებს მუნიციპალიტეტში დაფუძნებული არასამეწარმეო(არაკომერციული) იურდიული პირები, რომელთა რაოდენობა დღეის მდგომარეობით 6 ერთეულია.

მერიის როგორც აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობა ხორციელდება სამი მიმართულებით:

1. ინფრასტრუქტურა და სივრცისთი მოწყობა.
2. მოსახლეობის სოციალური დაცვა.
3. კულტურა, განათლება, სპორტი და ახალგაზრდულ საქმეთა საკითხები.

ჩემს ანგარიშში შევეცდები მოკლედ მოგახსენოთ და ძირითადად შევეხო იმ ასპექტებს, რომელსაც გასულ წელს ახორციელებდა მერია ამ მიმართულებით.

#### -ინფრასტრუქტურა და სივრცითი მოწყობა:

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის #23 დადგენილებით “ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ განსაზღვრული წესით მუნიციპალიტეტს 2017 წელს 11 ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად გამოეყო 3 787 225 ლარი.აქედან 6 პროექტი 2 623 629 ლარით დაფინანსდა წლის პირველ ნახევარში, ხოლო 5 პროექტზე 1 163 596 ლარი გამოიყო 2017 წლის მეორე ნახევარში. რგპფ-დან 2017 წელს მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი დაფინანსება 1 528 478 ლარით აღემატება 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, რაც ინფრასტრუქტურულ პროექტებზე გაწეული ხარჯის ზრდის დინამიკის მაჩვენებელია.

რგპფ-დან გამოყოფილი თანხით და მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით განხორციელდა ხუთი საგზაო, ერთი წყალმომარაგების პროფილის, ერთი ნაპირსამაგრის მოწყობის, ერთი შენობის მშენებლობის და ორი ქუჩის კეთილმოწყობის მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტი:

სოფ. პირველი და მეორე ობჩის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. როდინოულთან დამაკავშირებელი ს/გზის რეაბილიტაცია 3 კმ-ზე.

სოფ. პირველ ობჩაში მთისძირისკენ მისასვლელი ს/გზის რეაბილიტაცია 1,280 კმ-ზე.

ბაღდათი-საკრაულას ადგილობრივი მნიშვნელობის ს/გზის საკრაულა წიფის 3,1 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია.

სამთავე ს/გზის რეაბილიტაცია განხორციელდება ორ ფენიანი ასფალტო/ბეტონის საფარით. სავალი ნაწილის სიგანე საშუალოდ შეადგენს 4,5 მ-ს. გზების გასწვრივ მოეწყონ ნიაღვარმიმღები არხები და სხვა საინჟინრო ნაგებობები.

სოფ. ფერსათიდან სალხინოს ეკლესიასთან მისასვლელი გზის 0.54 კმ-იანი მონაკვეთის, სოფ. დიმში მამუკაშვილების შესახვევიდან ეკლესიამდე გზის 1,5 კმ-იანი მონაკვეთის და სოფ. კაკასხიდიდანსოფ. ხანამდე 2,1 კმგზისმონაკვეთისრეაბილიტაცია მოხდა 5 მეტრიანი სიგანის რკ/ბეტონის საფარით.

სოფ. ფერსათსა და სოფ. წითელხევში მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის მიზნით მოეწყონ სათავე ნაგებობა, წყალშემკრები რეზერვუარები და მაგისტრალური ქსელი.

ასევე განხორციელდა ქ. ბაღდათში ე. თოდაძის ქუჩის სავალი ნაწილის რეაბილიტაციის და ქ. ბაღდათში ბაღდათის ქუჩის გზის სავალი ნაწილის, გვერდულის და აგრობაზრის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტები.

სოფ. დიმში ადამაძეების და გიორგიძეების უბანში მდ. ხანისწყალზე 207 გრძ.მ-ზე მოეწყონ ნაპირსამაგრი.

აღნიშნული სამუშაოების მოწოდებაზე, ელ. ტენდერების შედეგების საფუძველზე, სხვადასხვა ორგანიზაციებთან, გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ თერთმეტი ხელშეკრულება, აქედანდა სოფ. კაკასხიდიდან სოფ. ხანამდე გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია უნდა დასრულებულიყო 2018 წლის 30 სექტემბერს. დანარჩენი ხელშეკრულებების საფუძველზე სამუშაოთა წარმოების დასრულება იგეგმებოდა 2017 წელს.

სამუშაოთა მოცულობის და სირთულის გათვალისწინებით სახელშეკრულებო ვადები სხვადასხვა ობიექტზე განისაზღვრა 100-დან 120 კალენდარულდღემდე:

სოფ. პირველი და მეორე ობჩის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. როდინოულთან დამაკავშირებელ ს/გზაზე 2017 წლის 17 სექტემბერამდე. სამუშაოთა მწარმოებელი შ.პ.ს. „საქმილსადენმშენი“, პროექტი დასრულებულია;

სოფ. პირველ ობჩაში მთისძირისკენ მისასვლელ ს/გზაზე 2017 წლის 27 აგვისტომდე. სამუშაოთა მწარმოებელი შ.პ.ს. „ბორანი“, პროექტი დასრულებულია;

სოფ. ფერსათში და სოფ. დიმში რკ/ბეტონით გზების მონაკვეთების მოწყობა განახორციელა შ.პ.ს. „ჯ და ჯ“-მ, სამუშაოები დასრულებულია;

ფერსათისა და წითელხევის მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგებისათვის სამუშაოებიაწარმოა შ.პ.ს. „ნიუმშენმა“, ობიექტი დასრულებულია.

შ.პ.ს. „ალმ ევროტექნიკსმა“ 2017 წლის ბოლომდე დაასრულა ქ. ბაღდათში ე. თოდუას ქუჩის სავალი ნაწილის რეაბილიტაცია და ქ. ბაღდათში ბაღდათის ქუჩის გზის სავალი ნაწილის, გვერდულის და აგრობაზრის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.

სოფ. დიშში ადამაძეების და გიორგიძეების უბანში მდ. ხანისწყალზე ნაპირსამაგრის მოწყობა სახელშეკრულებო ვადაში დაასრულა შ.პ.ს. „ბაღდათის ავტოგზამ“.

შ.პ.ს. „თბ კაპიტალთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ბაღდათის რაიონული ოფისის მშენებლობა უნდა განხორციელებულიყო 2017 წლის 30 ნოემბრამდე. საპროექტო დოკუმენტაციის ხარვეზების და სხვადასხვა ობიექტური გარემოებების გამო სამუშაოთა მიწოდების ვადა გაიზარდა 2018 წლის 20 აპრილამდე, ამჟამად ობიექტის მშენებლობა დასრულებულია და მიღება-ჩაბარების საკითხის განსახილველად ველოდებით საექსპერტო დასკვნას.

გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება შეადგენდა 3 917 411 ლარს, 2017 წელს შესრულებული სამუშაოების ფაქტობრივი ღირებულება არის 3 865 688 ლარი.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა ცალკეულ ობიექტებზე მიმწოდებლებმა ვერ უზრუნველყვეს სახელშეკრულებო ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება, ამ მხრივ განსაკუთრებული სირთულეები შექმნა შ.პ.ს. „სატრანსპორტო სამშენებლო კომპანიამ“, რომელსაც 2017 წლის 14 ივნისის #98 ხელშეკრულებით 14 ოქტომბრამდე უნდა დაესრულებია ბაღდათი-საკრაულას ადგილობრივი მნიშვნელობის ს/გზის საკრაულა-წიფის 3,1 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია. კონტრაქტორს მრავალგზის მიეცა წერილობითი და ზეპირი მითითება სახელშეკრულებო ვადების დარღვევის და გზის მშენებლობის სტანდარტების დაუცველობის გამო. ნაცვლად 2017 წლის 14 ოქტომბრისა სამუშაოები დასრულდა 13 დეკემბერს, რის გამოც დაერიცხა ჯარიმა 30 880 ლარის ოდენობით. მერიის დაკვეთით ჩატარებულმა ალტერნატიულმა ექსპერტიზამ აჩვენა, რომ ცალკეულ მონაკვეთებზე გზის ასფალტ/ბეტონის საფარის ზედა წვრილმარცვლოვანი ფენა უხარისხო იყო, ამიტომ დაახლოებით 1,1 კმ-ზე დამატებით გადაეგო 3 სმ. სისქის წვრილმარცვლოვანი ფენა.

2016 წლის ნოემბრის თვეში მომხდარი სტიქიის გამო, მოსახლეობაზე მიყენებული ზარალის სალიკვიდაციო ღონისძიებების გასატარებლად მუნიციპალიტეტს, საქართველოს მთავრობის მიერ გამოეყო 338 000 ლარი. ბაღდათის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობისათვის სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის აღმრიცხველი მუდმივმოქმედი კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, აღნიშნული თანხის ფარგლებში განხორციელდა 33 ობიექტის მშენებლობა-რეაბილიტაცია, აქედან 12 მოსახლეს აუშენდა სახლი, 21 მოქალაქის სახლის სახურავს ჩაუტარდა რეაბილიტაცია. სამუშაოები დაიწყო 2016 წლის ბოლოს და დასრულდა 2017 წელს, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები გაფორმებული იყო ორ მიმწოდებელთან: შ.პ.ს. „ფაზისი 2005“-თან და შ.პ.ს. „ჯგუფი 184“-თან. ასევე 2017 წელს განხორციელდა 2016 წელს დასრულებული სოფ. პირველ და სოფ. მეორე ობჩაში საბავშვო ბაგა-ბაღების შენობების მშენებლობის სამუშაოების მიღება-ჩაბარება, ორთავე ობიექტზე სამუშაოთა წარმოების ვადის გადაცილების და ხარისხის გაუარესების გამო შ.პ.ს. „ამაგი“-ს ჯარიმის სახით დაერიცხა და დაუკავდა 21 368 ლარი.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხით 2017 წელს განხორციელდა ქ. ბაღდათში ყოფილი რაიკავშირის შენობის სახურავის რეაბილიტაციის, სოფ. შუბანში დამეწყრილი გზის გვერდულის აღდგენა-გამაგრების, სოფ. მეორე ოზჩაში საბუკიას უბანზე გაბიონის და წყალგამტარი მილის მოწყობის სამუშაოები საერთო ღირებულებით 83 800,95 ლარი.

ადგილობრივი შემოსავლებიდან 70 307,25 ლარით დაფინანსდა ცხრა საბავშვო ბაღის შენობის სამზარეულოებში ვენტილაციის მოწყობის, ოთხი საბავშვო ბაღის შენობის გაზიფიცირების შიდა ქსელის მოწყობის, ქ. ბაღდათში ბაღდათის ქუჩაზე კვირიკაძეების უბნისკენ მიმავალ გზაზე ცხურის მოწყობის და დაზიანებული გზის საყრდენი კედლის რეაბილიტაციის და ბაღდათი-ზეგანი-საკრაულას საავტომობილო გზის მე-10 მე-11 კილომეტრს შორის ჩაწყვეტილი მიწის ვაკისის აღდგენის სამუშაოები.

პროექტების მიმდინარეობაზე დაწესებული კონტროლის მიუხედავად მიმწოდებლები ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფენ სახელშეკრულებო ვალდებულებების სათანადო დონეზე შესრულებას. შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუარესების და მიწოდების ვადების დარღვევისათვის 2017 წელს სულ ინფრასტრუქტურული სამუშაოების შემსრულებელ კონტრაქტორებზე დაკისრებული ჯარიმები საანგარიშო წლის განმავლობაში აჭარბებს ასი ათას ლარს, 2016 წელს კონტრაქტორებზე დარიცხული ჯარიმები იყო 18 416 ლარი. აღნიშნული მიუთითებს შემსყიდველის მხრიდან ადმინისტრირების გაუმჯობესებაზე, თუმცა ჩვენი თვითმიზანი არ არის მიმწოდებლების დაჯარიმება და საბოლოო მიზანს წარმოადგენს პროექტების სათანადო ხარისხით განხორციელება.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 დეკემბრის #2712 განკარგულებით გასული წლის ოქტომბრის თვის სტიქიის (წვიმა) შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისათვის გამოიყო 1 700 000 ლარი. აღნიშნული დაფინანსების ფარგლებში შ.პ.ს. „ბაღდათის ავტოგზასთან“ და შ.პ.ს. „აბვ“-სთან გაფორმდა სამი ხელშეკრულება 110 789 ლარის ღირებულების სამუშაოებზე- ქ. ბაღდათში ჯავახიშვილის ქუჩაზე რკ/ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობის, ქ. ბაღდათში ჯავახიშვილის ქუჩაზე რკ/ბეტონის კიუვეტის მოწყობის, ქ. ბაღდათში ჯავახიშვილის ქუჩაზე რკ/ბეტონის არხის ცხურით მოწყობის, სოფ. ზეგანში მდ. საკრაულაზე კიდული ხიდის რეაბილიტაციის, სოფ. ზედა დიმში ტაძრისკენ მიმავალი გზის მონაკვეთის გასამაგრებლად ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობის, სოფ. შუბანში რკ/ბეტონის მილხიდის მოწყობის, ქ. ბაღდათში დადიანის ქუჩაზე საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად დასრულდა 2018 წლის მაისის პირველ ნახევარში.

შ.პ.ს. „აბვ“-სთან გაფორმებული #55 ხელშეკრულების ფარგლებში მიმდინარეობს ქ. ბაღდათში მინი საფეხბურთო და საკალათბურთო სტადიონების რეაბილიტაციის სამუშაოები ღირებულებით 29 499 ლარი.

სხვადასხვა კლასის შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე 2017 წელს გაცემულია 45 ნებართვა (ბრძანება) და 42 წერილობითი თანხმობა მშენებლობის განხორციელების თაობაზე. აღნიშნული ეხება საცხოვრებელი სახლების, სხვადასხვა სახის კომერციული ობიექტების და ხაზოვანის ნაგებობების მშენებლობას. სულ ჯამში 2017 წლის განმავლობაში ექსპლუატაციაშია მიღებული 16 მშენებლობა დამთავრებული ობიექტი. მშენებლობის ნებართვების გაცემისათვის საანგარიშო წლის განმავლობაში ბიუჯეტში მობილიზებულია მოსაკრებელი 11 564 ლარი. უკანონო მშენებლობის წარმოებისა და სანებართვო პირობების დარღვევისათვის ჯარიმის სახით დარიცხულია 5 490 ლარი.

## მოსახლეობის სოციალური დაცვა

სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის პროგრამებისათვის 2017 წელს 655 774 ლარი გაიხარჯა, რაც 2016 წელს ამავე მიზნით გახარჯულ თანხას 441 413 ლარით აღემატება (მასში შდის სტიქიური უბედურების თანხა).

აღნიშნული თანხიდან 347 600 ლარი გამოყოფილი იყო სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარების მიზნით და იგი სრულად მოხმარდა სახლების მშენებლობასა და დაზიანებული სახურავების რეაბილიტაციას.

2017 წლის განმავლობაში სამედიცინო მომსახურებისათვის თანადაფინანსება გაეწია მუნიციპალიტეტის 446 მცხოვრებს (106 302 ლარი), მედიკამენტების შეძენაში დავებმარეთ 363 მოქალაქეს (21 212 ლარი), ერთჯერადი ფინანსური დახმარებით ისარგებლა 167-მა ოჯახმა (21 060 ლარი) და დიალიზით მოსარგებლე 18 ბენეფიციარზე ტრანსპორტირების უზრუნველყოფის მიზნით გაიცა 26 400 ლარი.

გასულ წელს უფასო სასადილოს მიერ მომსახურება გაეწია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ 47 ბენეფიციარს (44 800 ლარი). ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის მიზნით ისარგებლა 125-მა ოჯახმა (36 600 ლარი), პროგრამით განსაზღვრული ფინანსური დახმარება გაეწია 41 მრავალშვილიან ოჯახს (8250 ლარი) და 37 ობოლ ბავშვს (1850 ლარი).

სხვადასხვა მიზეზების გამო უსახლკაროდ დარჩენილი 9 ოჯახი უზრუნველყოფილი იქნა ბინის ქირით.

შშმ პირებისათვის განსაზღვრული 20 000 ლარი წლის განმავლობაში გახარჯული იქნა შემდეგ აქტივობებზე: ინგლისური ენისა და კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი კურსების დაფინანსება და ტრანსპორტირება 10 შშმ პირისათვის; კურორტ ურეკის სამკურნალო-სარეაბილიტაციო პანსიონატში 25 ბენეფიციარის რეაბილიტაციისა და ტრანსპორტირების დაფინანსებისათვის, შშმ პირების დღეებისათვის მიძღვნილი სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსებისათვის, შშმ პირებისათვის სამედიცინო მომსახურების გაწევისა და ფინანსური დახმარებისათვის. ჩამოთვლილი აქტივობებიდან შშმ პირთათვის ინგლისური ენისა და კომპიუტერული პროგრამების შესწავლა გასულ წლებში არასოდეს განხორცილებულა ამ მხრივ 2017 წელი გამორჩეული იყო.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი პროგრამებისა, წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში ისარგებლეს:

ა) ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მებრძოლთა ოჯახის წევრებმა ( 15 ოჯახი - 2300 ლარი) და სხვა 42 ვეტერანმა 5000 ლარით;

ბ) ჩერნობილის ატ. ელ. სადგურის ადდგენითი სამუშაოებზე მონაწილე 12 ბენეფიციარმა 1800 ლარით;

გ) 5 დღეგრძელმა მოქალაქემ 1000 ლარით.

**კულტურა, განათლება სპორტი, ახალგაზრდულ საქმეთა საკითხები**

მუნიციპალიტეტში კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული საკითხების სახელმწიფო პოლიტიკას განსაზღვრავდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ამ სფეროში დაფუძნებული ა.(ა).ი.პ-იები:

1. ა.(ა).ი.პ ხელოვნებისა და მუსიკის განვითარების ფონდი, სადაც გაერთიანებული იყო შემდეგი სექტორები:

- ვალერიან ქაშაკაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა
- კოტე ფოცხვერაშვილის სახელობის ხელოვნების სკოლა
- ახალგაზრდული ცენტრი
- რევაზ ლალიძის სახელობის კულტურის ცენტრი

მუნიციპალური ბიუჯეტიდან დაფინანსება შეადგენდა: 429500 ლარს;

2. ა.(ა).ი.პ ინფორმაციული უზრუნველყოფის, ეთნოკულტურისა და ტურიზმის განვითარების ფონდი მუნიციპალური ბიუჯეტიდან დაფინანსება შეადგენდა: 252200 ლარს;

- ჯანსუღ ღვინჯილიას სახელობის ბაღდათის მთავარი ბიბლიოთეკა
- ვ. მაიაკოვსკისა და ბაღდათის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
- ბაღდათის ბიბლიოთეკის ინოვაციური ცენტრი

მუნიციპალური ბიუჯეტიდან დაფინანსება შეადგენდა: 252200 ლარს;

3. ა.(ა).ი.პ ბაღდათის ბავშვთა სპორტული სკოლა -მუნიციპალური ბიუჯეტიდან დაფინანსება შეადგენდა 181300 ლარს;

4. ა.(ა).ი.პ ბაღდათის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება-მუნიციპალური ბიუჯეტიდან დაფინანსება შეადგენდა 815700 ლარს;

წლის განმავლობაში პერმანენტული ხასიათი ჰქონდა სხვადასხვა სახის გასართობ წარმოდგენებს, შემეცნებით აქტივობებს, ახალგაზრდულ შეხვედრებსა და სალონურ ღონისძიებებს. აღსანიშნავია ის, რომ რეგულარული ხასიათი ჰქონდა ვალერიან ქაშაკაშვილის სამუსიკო სკოლაში თემატურ საღამოებს, წითელხევის სახელოვნებო სკოლაში ღირშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, ახალგაზრდული ცენტრის მიერ მრავალფეროვანი წარმოდგენებისა და შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებებს, ვ. მაიაკოვსკის სახელობის მუზეუმის ლიტერატურული სალონის შეხვედრებს და აქტივობებს, ჯანსუღ ღვინჯილიას სახელობის ბიბლიოთეკის შემოქმედებით-ლიტერატურულ კონკურსებსა და წიგნების პრეზენტაციებს, რევაზ ლალიძის კულტურის ცენტრის შემოქმედებითი ჯგუფების კონცერტებს და სპორტული სკოლის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა სპორტულ აქტივობებს. ამასთან მოგახსენებთ, რომ კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურს მჭიდრო ურთიერთობა აქვს საერთაშორისო ორგანიზაცია World Vision-თან და Youth 2 Georgia-სთან. აღნიშნულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით და მათი აქტიური მხარდაჭერით ორგანიზებულია არაერთი მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრა.

არსებობს გარკვეული პრობლემები, რომელთა გადაჭრა აუცილებლობას წარმოადგენს და მიმდინარეობს მუსაობა მათი დამლევისატვის. შევეცდები წარმოგიდგინოთ რამოდენიმე მათგანი:

- აუცილებელია ქ. ბაღდათს ჰქონდეს სპორტული კომპლექსი.
- სარეაბილიტაცია კულტურის ცენტრის მცირე დარბაზი და პირველ სართულზე განთავსებული ახალგაზრდული ბარი. რეაბილიტაციის შემთხვევაში მასში მიზანშეწონილია განთავსდეს ახალგაზრდული შეხვედრებისა და ღონისძიებების ცენტრი და კინო სალონი.
- კულტურის ცენტრის დიდ დარბაზში დასამონტაჟებელია გათბობისა და გაგრილების სისტემა.
- ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებისათვის შესაძენია ახალი ეროვნული სამოსი.
- ქორეოგრაფიული ანსამბლისათვის შესაძენია რეკვიზიტები და აქსესუარები.
- კულტურის ცენტრისთვის საჭიროა ხმის გამაძლიერებელი აპარატურის შეძენა.

სფეროების მიხედვით მათ მიერ გაწეულ მუშაობას ცალკეული ღონისძიებების მოწყობის კუთხით, მისი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მე შევეცდები მოკლედ მოგახსენოთ ჩემი ხედვა ამ მიმართულებით შემდგომი მუშაობის გაუმჯობესების კუთხით.....

**რაც შეეხება შეეხება მერიის ცალკეული სამსახურების მუშაობას, რომლებსაც მხარდაჭერის ფუნქცია აკისრია ზემოთ აღნიშნული მიმართულებების უზრუნველსაყოფად, უპირველესად ეს არის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი და მისი დაგეგმვისა და შესრულების მდგომარეობა.**

მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის მოცულობა საბოლოო ცვლილებების შემდეგ განისაზღვრა 12606,2 ათასი ლარით, რაც 2232,4 ათასი ლარით მეტია 2016 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის მოცულობაზე. ზრდა ძირითადად გამოწვეულია „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ დაფინანსების ზრდით.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული მთლიანი შემოსულობების გეგმიური მაჩვენებელი 12606.2 ათასია ლარია, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 12411.4 ათასი ლარი (98,4%) ხოლო 2016 წლის ანალოგიურია მაჩვენებელია: გეგმა-10373.1 ათასი ლარი, ფაქტი-10214.9 ათასი ლარი (98,8%).

2017 წელს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გადასახადების სახით მობილიზებულია 875.9 ათასი ლარი რაც გეგმის 109.5%-ს შეადგენს, 2016 წელს-746.1 ათასი ლარი, გეგმის 82.9%

2017 წლის ბიუჯეტის შემოსულობებში ყველაზე დიდი პროცენტული წილი უჭირავს გრანტებს. 2017 წელს ფაქტიურად მიღებული გრანტები 2016 წლის მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 29,8%-ით, ხოლო გრანტების ზრდაში ყველაზე დიდი ხვედრითი წილი უკავია „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ გამოყოფილ თანხებს, რომელიც გაზრდილია 2291,7 ათასი ლარით ( 68,6%-ით), ანალიზიდან ჩანს რომ მუნიციპალიტეტმა 2016 წელთან შედარებით შეძლო გაცილებით მეტი გრანტის მოზიდვა და შესაბამისად უფრო მეტი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება.

**სხვა შემოსავლები**

2017 წლის სხვა შემოსავლების გეგმიური მაჩვენებელია 515 ათასი ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 568,6 ათასი ლარი რაც გეგმის 110,4%-ია, ხოლო 2016 წლის სხვა შემოსავლების გეგმასა და ფაქტიურ შესრულებას შორის სხვაობამ შეადგინა +3,6%, 2017 წელს

+10,4%. აღნიშნული მონაცემების ანალიზი საფუძველს იძლევა ბალდათის მუნიციპალიტეტის სხვა შემოსავლები მომდევნო წელს დაიგეგმოს გაზრდილი მაჩვენებლით

### **არაფინანსური აქტივების კლება**

2017 წელს არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულა შემოსავალმა შეადგინა 50 ათასი ლარი, რაც გეგმის 35,7% -ს შეადგენს. გეგმის შეუსრულებლობა გამოიწვეულია იმით რომ არ გაიყიდა ყოფილი საავადმყოფოს შენობა, რომელიც ასახული იყო საანგარიშო პერიოდის არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავლების გეგმაში. 2016 წელს არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 201 ათასი ლარი, რაც გეგმის 100,5%-ია.

### **გადასახდელების ანალიზი**

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 12606,2 ათასი ლარით. საკასო შესრულებამ შეადგინა 9527 ათასი ლარი რაც გეგმის 75,5%-ია. გეგმის შეუსრულებლობის ძირითადი ნაწილი მოდის არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმის შეუსრულებლობაზე, რაც გამოწვეულია იმით, რომ არ მოხდა 2015; 2016 და 2017 წლების სამუშაოების სრულად დაფინანსება, აგრეთვე საქართველოს მთავრობის მიერ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისთვის გამოყოფილი 1700 ათასი ლარის აუთვისებლობით ( თანხა გამოიყო 2017 წლის 27 დეკემბერს). თუ არ გავითვალისწინებთ აღნიშნულ თანხას, გადასახდელების გეგმის ფაქტიური შესრულება შეადგენს დაახლოებით 87%-ს .2016 წელს გადასახდელების შესრულების პროცენტული მაჩვენებელია 83,3% .

### **სარეზერვო ფონდი**

2017 წლის ბალდათის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდის ხარჯმა შეადგინა 23,124 ათასი ლარი, რომელიც მთლიანად გაიხარჯა სოციალური საჭიროებების დაფინანსებისთვის 2016 წელთან შედარებით სარეზერვო ფონდის მოცულობა ორჯერაა შემცირებული, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ სოციალური სფეროს დაფინანსება 2017 წელს წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნადაა გაზრდილი, თანხით - 294,3 ათასი ლარი.

### **ნაშთები საანგარიშო წლის ბოლოს**

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთმა შეადგინა 1589,6 ათასილარი, ხოლო 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 3002,4 ათასი ლარი. თუ არ გავითვალისწინებთ 2017 წლის ბოლოს მიღებულ თანხას ( 1700 ათასი ლარი) სახეზე გვაქვს ნაშთად გადასული თანხების კლების ტენდენცია, რაც თანხობრივად შეადგებს 287,2 ათას ლარს.

### **ეკონომიკა**

ადგილობრივი შემოსავლების გაზრდის, არსებული მატერიალური რესურსების მაქსიმალურად გამოყენების, მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოტენციალის შესწავლისა და მისი რაციონალურად გამოყენების, ინოვაციური და ბიზნეს იდეების ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანი როლო ეკისრება მუნიციპალიტეტის ეკონომიური სამსახურისა და მისი გუნდის საქმიანობას, რამეთუ ეს სამსახური წარმოადგენს



მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების გამგარგავს და პასუხისმგებელია მის მოვლა-პატრონობაზე.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის შედეგად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2017 წელს შემოსულმა თანხებმა შეადგინა 54 132.5 (ორმოცდაათოთხმეტიათას ასოცდათორმეთი) ლარი.

აქედან, სარგებლობის უფლებით გადაცემული ქონებიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს 22 047.5 ლარს, მათ შორის:

- შენობა-ნაგებობების იჯარიდან მიღებული შემოსავალი 20 353 ლარი;
- მიწის ნაკვეთების იჯარიდან მიღებული შემოსავალი 1 094.5 ლარი;
- მანქანა დანადგარების იჯარიდან მიღებული შემოსავალი 600 (ექვსასი)ლარი.

სამსახურის თანამშრომლების მიერ მომზადდა დოკუმენტაცია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 10 ერთეული ქონების პრივატიზებისთვის.

სამსახურის თანამშრომლების მიერ მომზადებული დოკუმენტაციის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის მოთხოვნით სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ გადმოცემული და მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებულია შემდეგი ქონება:

- ქ. ბაღდათში, წერეთლის ქუჩაზე 30.11.33.485 საკადასტრო კოდზე მდებარე 26 439 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;
- სოფელ ფერსათში 30.12.36.410 საკადასტრო კოდზე მდებარე 431 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

2017 წელს სამსახურის მიერ მომზადდა დოკუმენტაცია და მუნიციპალურ საკუთრებად დარეგისტრირდა 50 ერთეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 120.7 ჰა საერთო ფართობით და 6 ერთეული ქონება სკვერის სტატუსით, კურორტ საირმის ტერიტორიაზე, 2631 კვ.მ. საერთო ფართობით.

საიჯაროდ ელექტრონულ აუქციონზე გატანილი იყო მუნიციპალურე საკუთრებაში არსებული 10 ერთეულ ქონება. გაფორმდა საიჯარო ხელშეკრულება 4 ობიექტზე.

როგორც მოგეხსენებათ მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ სამსახურთან არსებობს „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისია

კომისიას განსაკუთრებულად დატვირთული რეჟიმით უწევდა მუშაობა სახელმწიფო პროექტის მიწის უფასო რეგისტრაციის მიმდინარეობის პროცესში. თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მიზნით 2017 წელს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან და მოსახლეობიდან შემოსულია და კომისიის მიერ განხილული იქნა 450-ზე მეტი მომართვა. სამსახურის თანამშრომლების მიერ ადგილზე იქნა შესწავლილი, დასურათებული და მოძიებული საჭირო დოკუმენტაცია 372 საკითხზე. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე დაკმაყოფილებული იქნა 235 მოთხოვნა, უარი ეთქვა 137-ს, ხოლო დანარჩენ 78-ს მიეცა წარმოდგენილი დოკუმენტაციის სრულყოფის შესაძლებლობა. საანგარიშო პერიოდში კომისიას საკუთრების უფლების აღიარებაზე დადებითი გადაწყვეტილება გამოტანილი აქვს დაახლოებით 24.5 ჰა მიწის ნაკვეთზე, მიღებულმა შემოსავალმა ამ კუთხით ბიუჯეტში შეადგინა 2216.0 ლარი,

2017 წელში ინვენტარიზაცია ჩატარდა, როგორც მუნიციპალიტეტის ძირითად, ასევე დამატებით ქონებას. ინვენტარიზაციის აქტით აღრიცხულია 23 290 872,18 ლარის ნაჩენი ღირებულების ძირითადი ქონება, მატერიალური აქტივები და მარაგები.

სამსახური აქტიურად იყო ჩართული სახელმწიფო პროგრამის, „აწარმოე საქართველოში“, ფარგლებში მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროექტის მესამე ეტაპის მიმდინარეობის პროცესში. მუნიციპალიტეტის მოსახლეობას გაეწია საკონსულტაციო და ქმედითი დახმარება ბიზნეს იდეების დარეგისტრირებასა და ბიზნეს გეგმების შედგენა-გადაგზავნაში. პროექტის მიმდინარეობისას სამსახურის თანამშრომლების დახმარებით ელექტრონულად გაიგზავნა 30-ზე მეტი ბიზნეს იდეა (55 ბენეფიციარზე), აქედან მოწონებული იქნა შემდეგ ეტაპზე გადავიდა 18 ბიზნეს იდეა (34 ბენეფიციარი). ბიზნეს გეგმების დაწერაში სამსახური დაეხმარა 12-ზე მეტ ბენეფიციარს.

„ნარჩენების მართვის კოდექსის შესაბამისად“ შემუშავდა მუნიციპალური ნარჩენების მართვის გრძელვადიანი ხედვა და მიზნები, გაიწერა 2018-2022 წლებში განსახორციელებელი აქტივობები და ღონისძიებები. შემუშავებული სამოქმედო გეგმის პროექტი წარედგინა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსები სამინისტროსა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

## **ტურიზმის განვითარება**

ტურიზმის განვითარების მიზნით მიერ შეიქმნა და დამუშავდა მუნიციპალიტეტის სრულფასოვანი ტურისტული რუკა;

ტურიზმის განვითარების განყოფილების ორგანიზებითა და მონაწილეობით შეიქმნა და დაიბეჭდა 330 ცალი მუნიციპალიტეტის სამენოვანი ტურისტული ბუკლეტი. ჩვენი ბუკლეტები განთავსდა კოპიტნარის აეროპორტსა და ქუთაისის საინფორმაციო ცენტრებში.

დასაბეჭდად მომზადებული იქნა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საოჯახო მარნების ბუკლეტი: ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე, რომლის მიზანი იყო საოჯახო მარნების პოპულარიზაცია და ტურისტების მოზიდვა.

ტურიზმის განვითარების განყოფილების აქტიური ჩართულობით ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემუშავდა ტურისტული მარშრუტები და მოხდა აღნიშნული მარშრუტების მარკირება.

## **სოფლის მეურნეობა**

სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ეკონომიკის სამსახურში შეიქმნა სოფლის მეურნეობის, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისა და გარემოს დაცვის განყოფილება. გასულ წელს „ანასეულის“ ლაბორატორიამ მუნიციპალიტეტის დაკვეთით 2017 წელს მოახდინა 8 ტერიტორიულ ერთეულში 16 სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ბაქტერიულ-ლაბორატორიული კვლევის ჩატარება. კვლევების შედეგები და რეკომენდაციები გადაეცათ მიწის მფლობელებს.

წინა წელთან შედარებით 2017 წელს ჩატარებული კვლევების რაოდენობა გაორმაგდა.

მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია კიდევ უფრო მეტ ბენეფიციარს გავუწიოთ მხარდაჭერა მიწის ნაკვეთების ბაქტერიულ-ლაბორატორიული კვლევების ჩატარებაში.

სამსახური აქტიურად იყო ჩართული სოფლის მეურნეობის სფეროში თანამედროვე მიღწევებისა და ტექნოლოგიების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებასა და ცოდნა-გამოცდილების მიღებაში. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებით ჩატარდა 7 აგროტური რაჭაში, აჭარაში, კახეთში, სამეგრელოში და გურიაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 175 - მდე პირმა.

სამსახურის მიერ შესწავლილი იქნა და განისაზღვრა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროდან სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე ლიცენზიის გაცემის მიზანშეწონილობა 12 ობიექტზე.

ამჟამად განყოფილება აქტიურად არის ჩართული ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის, კამპანიაში, შემოყვანილია სპეცდანიშნულების ტექნიკა, რომელიც აწარმოებს მუნიციპალიტეტის სოფლების დამუშავებას.

### **ადმინისტრაციული სამსახური**

მერიის საქმიანობაში განსაკუთრებული როლი ენიჭება ჩვენი მოქალაქეებისათვის არსებულ პრობლემების შესწავლასა და მათ გადაწყვეტას, მაქსიმალურად ვცდილობთ ჩვენთან მოსულ მოქალაქეს დავებნაროთ იმ საკითხების გადაწყვეტაში, რომელიც მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, ასევე ხელი შეუწყობთ მათ ინიციატივებსა და წინადადებების რეალიზებას, რასაც მერიაში ემსახურება ადმინისტრაციული სამსახური და მასში შემავალი სტრუქტურული ერთეულები. ეს სამსახური 50-ზე მეტ საჯარო მოსამსახურეს აერთიანებ. აქ შედიან ადმინისტრაციული ერთეულში მერის წარმომადგენლები და მათი სპეციალისტები, შესყიდვებისა და იურდიული განყოფილებები, მერიის კანცელარია.

მე არ შეუდგები მათი საქმიანობის სიღრმისეულ ანალიზს, იგი დიდ დროს წავგვართმევს, მოკლედ მოგახსენებთ ძირითად ასპექტებს მათი საქმიანობისა:

#### **ა) კანცელარია;**

საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში 2017 წლის მდგომარეობით აღირიცხა და შესაბამისი წესით დარეგისტრირდა **13 198** შემოსული კორესპოდენცია, რაც დაახლოებით, ორჯერ მეტია გასულ წელს აღრიცხულ შემოსულ კორესპოდენციებთან შედარებით. (2016 წელს დაფიქსირდა 6553 შემოსული დოკუმენტი)

2017 წელს საჯარო რეესტრიდან შემოსულია და დარეგისტრირებულია **5198** მომართვა.

საქმისწარმოების განყოფილების მიერ გატარდა **10 350** - გასული დოკუმენტი და მოხდა მათი ადრესატებთან გადაგზავნა.

რეგისტრირებულია **1589** სამართლებრივი აქტი და **1777** შიდა ტიპის კორესპოდენცია.

2017 წელს ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოვიდა **116** იურიდიული და **31** ფიზიკური პირის წერილი და განცხადება. ყველა მათგანზე პასუხი გაცემულია დროულად, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის ფაქტი არ დაფიქსირებულა.

### **სახელმწიფო შესყიდვები და მატერიალური უზრუნველყოფა**

მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცებული პარამეტრების გათვალისწინებით შესასყიდი საქონლის, სამუშაოს და მომსახურების მოცულობამ მუნიციპალიტეტისათვის

აუცილებლად გასაწევი ხარჯების გათვალისწინებით შეადგინა 605.2 ათასი ლარი, დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში 4767,7 ათასი ლარი. 2017 წლის განმავლობაში ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების კვალობაზე შესაბამისად მოხდა შესყიდვების გეგმის კორექტირება და საბოლოოდ წლიური დაზუსტებული ბიუჯეტის მოცულობის (12606,2 ათასი ლარი) გათვალისწინებით შესყიდვების გეგმამ შეადგინა 6572.6 ათასი ლარი. გეგმაში მნიშვნელოვანი წილი ჰქონდა რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილ (4163,9 ათ. ლარი; 5863.9-1700 ათასი ლარი), რაც გეგმის 63,3%-ია.

დამტკიცებული შესყიდვის გეგმის ფარგლებში სულ გაფორმებული იქნა 164 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით 6067,6 ათასი ლარი.

აქედან 35 ხელშეკრულება დაიდო გამარტივებული ელექტრონული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა - 5782,5 ათასი ლარი.

101 ხელშეკრულება დაიდო გამარტივებული შესყიდვის შედეგად, საერთო თანხით 106,6 ათასი ლარი;

კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად, რომელსაც ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციისთვის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ერთიანად ატარებს - 8 ხელშეკრულება, საერთო თანხით 34,4 ათ. ლარი.

გადაუდებელი აუცილებლობით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შესაბამისი თანხმობის საფუძველზე განხორციელდა 8 შესყიდვა საერთო ღირებულებით 88.2 ათასი ლარი.

2017 წელს დადებულ ხელშეკრულებს შორის შესყიდვის ობიექტთა განაწილება ასეთია: სამუშაოები - 5648.7 ლარი, მომსახურება - 236.3 ლარი, საქონელი - 182.6 ათასი ლარი.

როგორც ზემოთ მოყვანილი სტატისტიკიდან ჩანს განხორციელებული შესყიდვების 40% მოდის რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხებით განხორციელებულ შესყიდვებზე.

## **საჯარო სისტემის რეფორმა**

ცალკე მინდა გამოვყო და შევხუ საჯარო სისტემის რეფორმას, რომელიც ქვეყანაში 2017 წელს დაიწყო. ჩვენ ამ რეფორმის ნაწილი გავხდით. როგორც მოგეხსენებათ, საქართველო კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ ძალაში 2017 წლის 01 ივლისიდან შევიდა. კანონის ამოქმედებას წინ უძღოდა მთელი როგი ცვლილებები, რაც საქართველოს მთავრობის დადგენილებებით აისახა. დამტკიცდა ახალი რეგულაციები, რომლითაც განისაზღვრა საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების, მობილობის, ნახევარ განაკვეთზე მუშაობის, საჯარო სამსახურში ეთიკისა და ქცევის, მოხელის წახალისების, შეფასების, მივლინების, კატეგორიების მიხედვით იერარქიულ რანგებში განაწილების და მოხელის საკლასო ჩინის მინიჭების წესები.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიაში რამდენჯერმე (ხუთგზის) მივიღეთ გადაწყვეტილება პროფესიული საჯარო მოხელის (ჯამში 23) ვაკანტურ თანამდებობაზე ღია კონკურსისა და ოთხი გამარტივებულ კონკურსის არასამტატო პოზიციაზე გამოცხადების შესახებ.

ამჟამად მერიაში საშტატო ნუსხით განსაზღვრულ თანამდებობებზე ფაქტობრივად დასაქმებულია 105 მოხელე (მათ შორის სამი პოლიტიკური თანამდებობის პირი), რომელთაგან გამოსაცდელი ვადით მიღებულია 20 მოხელე.

მერიიდან, სხვა თანამდებობაზე გადასვლის მოტივითა და დაუყოვნებელი გათავისუფლების მოთხოვნით, 10 ივლისიდან დღემდე გათავისუფლდა სულ 12 მოხელე.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ გასულ წელს, სახელმწიფო სტაჟირების პროგრამის ფარგლებში, მერიის მიერ გადამზადებული და სერთიფიცირებული იქნა ერთი სტაჟიორი და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, ოთხი პრაქტიკანტი.

### **მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო(არაკომერციული) იურდიული პირები**

დღეს ბევრი საუბრობს ა.ა.ი.პ-ის საქმიანობაზე, იქ მიმდინარე პროცესებზე. ამ დაწესებულებებში რეორგანიზაციისა თუ სხვა სტრუქტურული ცვლილებები ჩვენი თვითმიზანი არ არის. ჩვენ გვინდა ეფექტური და უფრო მოქნილი გავხადოთ მათი საქმიანობა. დღეს თუ რომელიმე ააიპ-ში არის საშტატო რიცხოვნობის ზრდა, მათ ფუნქციებიც გაეზარდათ. მაგ. კომუნალურს დაემატა სერვისული მომსახირობის სეგმენტი, გადაჯგუფება მოხდა რიგ ააიპ-ბში ფუნქციებისა და სფეროების მიხედვით. ჩვენ ყოველდღიურად ვაკვირდებით და ვსწავლობთ მათ საქმიანობას და არ გამოვრიცხავ ზოგიერთ ააიპ-ში კვლავ მოგვიხდეს ნაწილობრივ სტრუქტურული ცვლილებები. ეს პროცესი ცოცხალი ორგანიზმია და იგი გაგრძელდება მანამ სანამ, მათი საქმიანობა ხელშესახებ ეფექტს არ მოგვცემს.

გმადლობთ ყურადღებისათვის.

მუნიციპალიტეტის მერი  
არცილ გოგსაძე